ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2425091

ნომერი: AR1375797

თარიღი : 04.02.2016

გაცემის თარიღი : 09.02.2016

გაცნობის თარიღი : 15.02.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 57 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საჰარ აბ. სა. თა. ელ. ელკიკი --- პ/ნ 01891011482
- თბილისი ნაკადულის ქ. N 3 ბ. 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია,რომლითაც გსურთ რელიეფის დონეთა სხვაობის გამო (რთული რელიეფით განპირობებული არათანაბარი სიმაღლის ნიშნულების გამო) გრუნტის ზედაპირის გასწორების მიზნით გრუნტის დაყრა – მოსწორება და ქვაბულის შევსება.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან გრუნტის დაყრა არ წარმოადგენს ლანდჩაპტურ მშენებლობას და ამავე დროს ნაყარი გრუნტი ვერ დაკავდება შესაბამისი ღონისძიებების გარეშე (ზოგ შემთხვევაში დაუშვებელია საყრდენი კედლის გარეშე), იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიის მოსწორება თუ გსუსთ მიწის ნაკვეთის შემდგომი განვითარების მიზნით ხოლო“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინასტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები შესაბამისად , ამიტომ მიწის დაყრა და ტერიტორიის მოსწორება შესაბამისი საყრდენი კედლის მოწყობით ასახული უნდა იქნას საპროექტო დოკუმეტაციაში პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე (რაც ასევე ასახული უნდა იყოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში ერთ ერთ ეტაპად). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს მიერ არჩეული ნომეკლატურა არ არის სწორად შერჩეული და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ამ ეტაპზე თქვენი მოთხოვნა მიწის მოსწორებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.